



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 3 21 0000627389



24/06/2021

**„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 ივნისის №616018 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“:

**ა) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:**

„9. ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.“;

**ბ) მე-5 მუხლის:**

**ბ.ა) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. გადამუშავებული პროფესიული სტანდარტი მტკიცდება ამ წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. ამასთან, ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.“;

**ბ.ბ) მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) დამტკიცებული პროფესიული სტანდარტების მიწოდება დარგობრივი საბჭოს წევრებისთვის გასაცნობად, საჯაროობის უზრუნველყოფა და ინიციატორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმირება შედეგების შესახებ.“;

**გ) მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ) განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED) კოდი და აღმწერი“;

**დ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:**

„10. ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.“;

**ე) მე-9 მუხლის:**

**ე.ა) მე-10 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10<sup>1</sup> პუნქტი:**

„10<sup>1</sup>. ცენტრი უზრუნველყოფს ინიციატორის წერილობით ინფორმირებას ინიცირების შედეგებთან დაკავშირებით.“;

**ე.ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის განვითარების პროცესი, რომელიც უკავშირდება ჩარჩო დოკუმენტში/მოდულ(ებ)ში, რეკომენდებული მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალსა და სასწავლო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში ტექნიკური ცვლილებ(ებ)ის შეტანას, ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:

ა) ცენტრის ან/და ინიციატორის მიერ ჩარჩო დოკუმენტში/მოდულებში, რეკომენდებული მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალსა და სასწავლო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში არსებული ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და გადამუშავებული დანართის პროექტის წარმოდგენა;

ბ) გადამუშავებული დანართის პროექტის ცენტრის დირექტორის წინაშე წარდგენა დასამტკიცებლად;

გ) დამტკიცებული დანართის მიწოდება დარგობრივი საბჭოს წევრებისთვის;

დ) დამტკიცებული დანართის საჯაროობის უზრუნველყოფა და ინიციატორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმირება შედეგების შესახებ.“;

**ე.გ) მე-12 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) დამტკიცებული დანართის საჯაროობის უზრუნველყოფა და ინიციატორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმირება შედეგების შესახებ.“;

**ვ) მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ცენტრი, პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, დარგობრივ საბჭოზე განხილვამდე უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის პროექტის/პროექტების საჯარო განხილვას. ამასთან, საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მოსაზრებების გათვალისწინების/გაუთვალისწინებლობის თაობაზე ინფორმაცია აისახება საჯარო განხილვის ოქმში. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში წარმოდგენილია წერილობითი პოზიცია და აღნიშნული დაინტერესებული მხარე არ

იღებს მონაწილეობას საჯარო განხილვაში/დარგობრივი საბჭოს სხდომაზე, ცენტრი უზრუნველყოფს მის წერილობით ინფორმირებას წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინების/გაუთვალისწინებლობის თაობაზე."

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

